სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი

N 2

ქ. თეთრიწყარო 27.06.2016 წელი

1. *სხდომას ესწრებოდნენ:*

2. არასამთავრობო ორგანიზაცია ,,მწვანე კავკასია“ - წარმომადგენელი - გიორგი აბულაძე.
3. არასამთავრობო ორგანიზაცია ,,გარისი“ - წარმომადგენელი - მარიამ წიკლაური.
4. არასამთავრობო ორგანიზაცია ,,საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ასოციაცია“ - წარმომადგენელი გულნარა შოშიტაშვილი.
5. ,,კოდის სათემო განათლების ცენტრი“ - წარმომადგენელი - გალინა ოქროპირიძე.
6. ,,საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის მარნეულის რაიონული ორგანიზაცია“- წარმომადგენელი - მალხაზ სამაშვილი.
7. ლუსინე დოსტიბეგიანი.
8. ქეთინო ჩოფლიანი.
9. ნანა დალაქიშვილი.
10. ქეთევან ბახუტაშვილი.
11. თორელი ბექაური.
12. ი/მ ,,დავით კუჭაიძე“ - წარმომადგენელი - დავით კუჭაიძე.
13. მარი ქავთარაძე.
14. ელენე ჩარკვიანი.
15. ნინო მეტრეველი.
16. დათო ბეკოშვილი.
17. მერაბ ბასიშვილი.
18. ციური გონგაძე.
19. იმედა წიკლაური.
20. მარიამ კობახიძე.
21. ჯემალ ბორცვაძე.
22. ხატია კოპაძე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ახალი წევრებისათვის საბჭოს ახალი შემადგენლობის და დებულების გაცნობა

/ნონა სუმბათაშვილი/

2. პროექტის „თანამონაწილეობითი დაგეგმვა ურბანულ დასახლებაში“ პრეზენტაცია

/გიორგი აბულაძე/

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველ საკითხზე ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელის ნონა სუმბათაშვილის ინფორმაცია, სამოქალაქო მრჩეველთა დებულების შესახებ, რომლითაც განსაზღვრულია საბჭოს უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი.

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

მოწონებულ იქნას გამგებლის მიერ დამტკიცებული დებულება და მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხზე გიორგი აბულაძის ინფორმაცია პროექტის „თანამონაწილეობითი დაგეგმვა ურბანულ დასახლებაში“ შესახებ.

მომხსენებელმა ისაუბრა პროექტზე, რომლის მიზანია, მოქალაქეთა აქტიური ჩართულობით ქ. თეთრიწყაროს ცენტრალური უბნების კეთილმოწყობის საპროექტო წინადადებების შემუშავება, რომელიც შემდგომ წარედგინება მუნიციპალიტეტის გამგეობას განსახილველად.

აზრი გამოთქვეს:

დავით კუჭაიძემ და აღნიშნა, რომ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსთან შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელის ფუნქციას ქალაქის დაგეგმარების ხედვის შემუშავება წარმოადგენს.

დაადგინეს:

მოწონებულ იქნას არასამთავრობო ორგანიზაციის „მწვანე კავკასია“ პროექტი „თანამონაწილეობითი დაგეგმვა ურბანულ დასახლებაში“, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოსთან შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდება საზოგადოების სხვადასხვა წევრებისაგან და წარმოადგენს საკუთარ ხედვებს ქალაქის ცენტრალური უბნის განვითარების პერსპექტივებზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომა დასრულებულად გამოცხადდა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე გიორგი აბულაძე